საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობები

1. მიესალმება იმ ფაქტს, რომ ევროკავშირის 28 წევრმა სახელმწიფომ რატიფიცირება გაუკეთა საქართველო–ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებას და მასთან ერთად ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ნაწილს; ხაზს უსვამს, რომ ასოცირების შეთანხმება ვრცელდება საქართველოს მთელს საერთაშორისოდ აღიარებულ ტერიტორიაზე და სარგებელი მოაქვს საქართველოს მთლიანი მოსახლეობისათვის;

2. კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება არ წარმოადგენს საბოლოო მიზანს ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობებში და აღნიშნავს, რომ ევროკავშირის ხელშეკრულების 49–ე მუხლის თანახმად საქართველოს ისევე, როგორც ნებისმიერ ევროპულ სახელმწიფოს გააჩნია ევროპული პერსპექტივა და შეუძლია გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი, თუ ის იცავს დემოკრატიის პრინციპებს, პატივს სცემს ძირითად თავისუფლებებს, ადამიანისა და უმცირესობების უფლებებს და უზრუნველყოფს კანონის უზენაესობას;

3. მიესალმება 16 ნოემბერს, ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საბჭოს მეორე სხდომას, რომელიც მიზნად ისახავდა ევროკავშირი-საქართველოს გაღრმავებული ურთიერთობების სრული პოტენციალით ამოქმედებას, რომელმაც აღიარა საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი ასოცირების ხელშეკრულების განხორციელებაში, და რომელმაც საქართველო შეაფასა, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის ერთ–ერთი მოწინავე ქვეყანა;

4. ეხმიანება ევროპარლამენტის პოზიციას, რომლის მიხედვითაც ევროკომისიამ ხელი უნდა შეუწყოს ასოცირების შეთახმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელებას, რათა უმოკლეს ვადაში მოხდეს შეთანხმებებით გათვალისწინებული რეალური პოზიტიური შედეგებისა და სარგებელის მოქალაქეებამდე მიტანა;

5. მიესალმება საქართველოს ძალისხმევას ეფექტურად განახორციელოს ასოცირების შეთანხმება, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება და უზრუნველყოს ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოება, ასოცირების ხელშეკრულებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად; მიესალმება ასოცირების ხელშეკრულების და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელებისთვის 2015 წლის ეროვნული სამოქმედო

გეგმის წარმატებით განხორციელებას. აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია რეფორმების ტემპის და კურსის შენარჩუნება, და მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას სრულად გამოიყენოს ევროკავშირის დახმარება, რომელიც საგრძნობლად გაიზარდა დაახლოებით €100 მილიონ ევრომდე ყოველწლიურად, ასოცირების შეთანხმების ამბიციური მიზნების მხარდასაჭერად;

6. სრულად ადასტურებს ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოს მიერ გატარებულ რეფორმებსა და მიღწეულ პროგრესს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით (VLAP) გათვალისწინებულ ოთხივე ფაზაში; მიესალმება საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოვლენილ ძალისხმევას ამ კუთხით, რაც აღიარებულია ევროკომისიის 2015 წლის დეკემბრის ბოლო ანგარიშში საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) განხორციელების შესახებ;

7. მკაფიოდ მიესალმება 2016 წლის 9 მარტის ევროკომისიის მიერ ევროპარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოში წარდგენილ ოფიციალურ საკანონმდებლო წინადადებას საქართველოს მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმის გაუქმების შესახებ; აღიარებს უვიზო მიმოსვლის რეჟიმის სტრატეგიულ მნიშვნელობას და მის დიდ პოტენციალს შერიგების ძალისხმევაში, მოუწოდებს, საქართველოს დამსახურებიდან გამომდინარე, მოხდეს ამ საკანომდებლო პროცესის სწრაფად და შეფერხების გარეშე ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანა ზაფხულის საპარლამენტო არდადეგებამდე;

8. აქვს მოლოდინი, რომ ეს მოვლენა ხელს შეუწყობს ხალხთა შორის პირდაპირ კონტაქტებს, მათ შორის ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებთან, ევროკავშირსა და საქართველოს შორის გააძლიერებს ბიზნესს, სოციალურ და კულტურულ კავშირებს და ყველასათვის გამოავლენს ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობების კონკრეტულ შედეგებს და იღებს მნიშვნელოვან სარგებელს; მიესალმება საქართველოში ამ საკითხისადმი უპირატეს ორპარტიულ მხარდაჭერას, უმთავრესი ევროპული და ევროატლანტიკური პოლიტიკის ორიენტაციის შესაბამისად, რომელიც სრულად გაზიარებულია მთავარობასა და ოპოზიციაში;

საქართველოს დემოკრატიული არჩევანი

9. აღნიშნავს, რომ ბოლო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებით ძალაუფლების მშვიდობიანი ცვლილება სამაგალითო მოვლენაა, ამ მხრივ, საქართველო სანიმუშოა რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ, ხაზს უსვამს, რომ მომავალი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების კონტექსტშიც უნდა შენარჩუნდეს აღნიშნული დემოკრატიული იმპულსი;

10. ხაზს უსვამს, ეუთოს ადამიანის უფლებების ოფისის მიერ ამ კუთხით გაწეულ რეკომენდაციების მნიშვნელობას და მიესალმება, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უკვე გაუგზავნა მოწვევა ევროპარლამენტს მომავალ არჩევნებზე დასაკვირვებლად; რწმენას გამოთქვამს რომ ევროპარლამენტი დადებითად გამოეხმაურება ამ თხოვნას; ასევე მოუწოდებს ევროპარლამენტს გამოიყენოს ამ სფეროში დაგროვილი გამოცდილება, რათა გადახედოს მის ყოვლისმომცველი დემოკრატიის ხელშეწყობის სქემას, ჩართოს მასში საქართველოც და კონკრეტული დამხარება გაუწიოს ინსტიტუციური მშენებლობის კუთხით;

11. კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ პოლიტიკური ოპოზიციის არსებობა უმინშვნელოვანესია დაბალანსებული და ჩამოყალიბებული პოლიტიკური სისტემის უზრუნველსაყოფად; ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის წევრთა მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ძალადობის შემთხვევა სავალდებულოა სწრაფად იქნას გამოძიებული; მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ ძალას საქართველოში გააუმჯობესოს პოლიტიკური კლიმატი, დაპირისპირების, პოლარიზაციის თავიდან არიდების გზით და უზრუნველყოს პარტიათა შორის დიალოგი დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის გაძლიერების ინტერესებიდან გამომდინარე; *ამავდროულად აღიარებს მმართველი უმრავლესობის წამყვან როლს ამ მიმართულებით;*

12. ხაზს უსვამს, რომ მედიის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციული მრავალფეროვნება დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულებებია; შეახსენებს ხელისუფლებას მოვალეობას, შემდგომშიც მეტი გარანტიები შექმნას მედია პლურალიზმის, სარედაქციო დამოუკიდებლობის და გამჭვირვალე მედია მფლობელობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ;

მოდერნიზაცია და მდგრადი დემოკრატიული რეფორმები საქართველოში

13. განმეორებით მოუწოდებს სრულად მოხდეს ფორმალურად და შინაარსობრივად იმ რეკომენდაციების შესრულება, რომელიც განსაზღვრულია უმნიშვნელოვანეს ანგარიშში „საქართველო გარდამავალ პერიოდში“; ამ კუთხით აქცენტს აკეთებს გაგრძელდეს სასამართლო პროცესის გამჭვირვალობა და პოლიტიკური მოტივებიდან თავისუფლება, *მის ჩატარებაზე სამართლიანი სასამართლოს პრინციპების სრული დაცვით*; მხარს უჭერს მიმდინარე ძალისხმევას განხორციელდეს რეფორმები სასამართლო სისტემასა და განსაკუთრებით პროკურატურაში; და ამ მხრივ მიესალმება როგორც პირველ ნაბიჯებს პროკურატურის დე პოლიტიზირების მიზნით პროკურატურის შესახებ კანონში უახლესი ცვლილებების შეტანას; ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წინასწარი პატიმრობის

ღონისძიება, რომელიც შემოფარგლული უნდა იყოს 9 თვის ვადით, რჩება განსაკუთრებულ ზომად, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ საგანგებო შემთხვევაში და მკაფიო გარემოებებში კანონის მკაცრი დაცვით, ვინმეს უფლებების ხელყოფის თავიდან ასაცილებლად და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობას შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ახლად დაფუძნებულ უსაფრთხოების სამსახურზე;

14. მოუწოდებს მთავრობას დაუყოვნებლივ მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების და მათი ოჯახების დასაცავად, რათა თავიდან აიცილოს ზეწოლის განხორციელების ნებისმიერი მცდელობა ვენეციის კომისიის 2015 წლის 22 სექტემბრის განცხადების და ევროპარლამენტის 21 იანვრის რეზოლუციის გათვალისწინებით;

15. მიესალმება და ულოცავს საქართველოს რეფორმების გატარების ძალისხმევის შენარჩუნებას, რაც აისახა ინოვაციური ელექტრონული შესყიდვის სისტემის დანერგვაში, რომელმაც საგრძნობლად გაზარდა გამჭვირვალობა, ეფექტიანობა და ანგარიშვალდებულობა, რომლებიც ძირითადი ფაქტორებია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში; ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კოდექსის მიღებაში და ადამიანის უფლებების ახალი სტრატეგიის დანერგვაში; მიესალმება საქართველოს მთავრობის პოლიტიკას ეროვნულ დონეზე გადაწყვიტოს სასამართლო საქმეები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქმეთა შემცირების მიზნით, ასევე მიესალმება ახლახან ინიცირებულ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს, რომლის მიზანია ზიანის კომპენსაციის და შიდა სასამართლოების მიერ განაჩენის გადასინჯვის ეფექტური მექანიზმის შექმნა, გაეროს ადამიანის უფლებათა სახელშეკრულებო ორგანოების გადაწყვეტილებების საფუძველზე;
ასევე დადებითად მიიჩნევს ახალი შრომის კოდექსის მიღებას და მოუწოდებს მის სრულ შესაბამისობის უზრუნველყოფას საერთაშორისო ვალდებულებებთან, მათ შორის ასოცირების ხელშეკრულებასთან; შრომით უფლებებთან და სტანდარტებთან, როგორც ამას შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია აწესებს; მიესალმება საჯარო სამსახურის შესახებ ახალი კანონის მიღებას, რომლის მიზანია საჯარო სამსახურის მოდერნიზაცია და მისი ეფექტურობის გაზრდა.

კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება საქართველოში

16. კვლავ იმეორებს მტკიცე მხარდაჭერას საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში; კვლავაც გამოთქვამს წუხილს საქართველოს ტერიტორიების აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ხანგრძლივი ოკუპაციის გამო რუსული შენაერთების მიერ; მკაცრად გმობს ადგილობრივი მოსახლეობისთვის საზიანოდ ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ რუსეთის მიერ მართულ

ე.წ. ბორდერიზაციის პროცესის გაგრძელებას და გაფართოებას, რაც ხელს უშლის ნებისმიერი სახის ნდობის აღდგენას; აღნიშნავს, რომ რუსეთის ფედერაცია, როგორც ოკუპანტი ძალა ახორციელებს ეფექტურ კონტროლს აფხაზეთზე, საქართველო და ცხინვალის რეგიონზე, საქართველო; ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს ორი რეგიონი, რომლებიც კვლავ რჩებიან სხვა ქვეყნის სამხედრო ოკუპაციის ქვეშ, პირველ რიგში წარმოადგენენ საშიშ „შავ ხვრელებს“ ადამიანის უფლებათა დარღვევებისა და დამრღვევთა ანგარიშვალდებულების მხრივ; შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების მხრივ არსებული მძიმე ვითარების გამო და ხაზგასმით აღნიშნავს საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ძალისხმევის გაძლიერების საჭიროებას, რათა ხელმისაწვდომი იყოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მონიტორინგი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე;

17. მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით და 2008 წლის 8 სექტემბერის გეგმით ნაკისრი ვალდებულებები, რომ გაიყვანოს მისი ყველა სამხედრო ძალა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას მისცეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, საქმიანობის სრული შესაძლებლობა; გარდა ამისა მოუწოდებს რუსეთს გაიზიაროს ძალის არ გამოყენების ვალდებულება საქართველოსთან და დათანხმდეს უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების დაფუძნებას;

18. მიესალმება იმ ფაქტს რომ საქართველომ განახორციელა მოქნილი ნაბიჯები და პრაგმატული მიდგომები, რათა ჩაერთოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესებში; კიდევ ერთხელ მოუწოდებს ევროკავშირს გააძლიეროს საკუთარი ძალისხმევა აღნიშნულ ტერიტორიებზე კონკრეტულად სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის კუთხით; იწვევს ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტს წარუდგინოს ანგარიში სამი თვის განმავლობაში ამ კუთხით გადადგმული ნაბიჯებისა და არსებული გამოწვევების შესახებ; ამ თვალსაზრისით ხაზს უსვამს, რომ ევროკავშირმა ამ პროცესში დამატებითი წვლილი შეიტანა მის მიერ დაფინანსებული ისეთი ინიციატივების მეშვეობით, როგორიც არის ინიციატივა ნდობის აღდგენის ადრეული რეაგირების მექანიზმების შესახებ (COBERM);

19. მიესალმება ევროკავშირის მტკიცე მისწრაფებას იყოს ჩართული საქართველოში მშვიდობის, სტაბილურობის და კონფლიქტის მოგვარების მცდელობაში, მათ შორის ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში თანათავმჯდომარეების მეშვეობით; სამხრეთ კავკასიაში და კრიზისის დროს საქართველოში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელის ძალისხმევით და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის უწყვეტი ყოფნით საქართველოში;

20. მოუწოდებს რუსეთს უკან წაიღოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების სეპარაციის აღიარება და სრულად პატივი სცეს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას, აგრეთვე მის საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობას; გმობს რუსეთის მიერ ამ ტერიტორიებთან „პარტნიორობისა და ინტეგრაციის“ შეთანხმებების ლობირებას, ვინაიდან ისინი შესაძლოა განხილულ იქნეს როგორც კიდევ ერთი ნაბიჯი ქართული ტერიტორიების ანექსიისკენ;

21. აღნიშნავს საქართველოს მნიშვნელოვან წვლილს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკასა და მალიში განლაგებულ საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის სამხედრო მისიებში, და უკრაინაში ევროკავშირის მრჩეველთა მისიაში მონაწილეობას;

ინსტიტუციური განვითარება

22. მიესალმება ევროკავშირისა და საქართველოს მთავრობის ძალისხმევას სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით გააღრმავონ თანამშრომლობა; ყურადღებას ამახვილებს საქართველოს მთავრობის ვალდებულებისადმი ჩაატაროს ყოვლისმომცველი საინფორმაციო კამპანიები საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ, მათ შორის ასოცირების შეთანხმების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარე რეფორმების შესახებ;
ხაზს უსვამს საქმიანობის გააქტიურების საჭიროებას დეზინფორმაციის და ანტი დასავლური პროპაგანდის საპასუხოდ, ისევე როგორც, სტრატეგიული კომუნიკაციების სფეროში თანამშრომლობის გაძლიერების საჭიროებას;

23.ხაზს უსვამს საქართველოს პარლამენტის როლს, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავების პროცესში იმავდროულად პოლიტიკურად ზედამხედველობა უნდა გაუწიოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესს; ხაზს უსვამს რომ აღნიშნული ფუნქციების განხორციელება საჭიროებს მხარეთა შორის კონსტრუქციული დიალოგის განვითარებას, საპარლამენტო სტრუქტურებში კარგი საკოორდინაციო მექანიზმების გამოყენებას დეპოლიტიზირებული და სტაბილური საჯარო სამსახურის მეშვეობით;

24. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საზოგადოებას აქვს მთავარი როლი არამხოლოდ ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის მონიტორინგის პროცესში, არამედ პოლიტიკის შემუშავებასთან და რეფორმირების პროცესებთან დაკავშირებულ მოსაზრებებშიც; მიესალმება იმ ფაქტს, რომ ასოცირების შეთანხმების ხელმომწერ სახელმწიფოთა შორის საქართველო პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც სამოქალაქო საზოგადოების

ორგანიზაციები ჩართო ასოცირების შეთანხმების და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელებისთვის ეროვნული სამოქმედო გეგმის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში; ხაზს უსვამს შესაბამის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმებს როლს ამ პროცესში ასოცირების შესახებ შეთანხმებების მიხედვით, კერძოდ, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების და შეთანხმებების იმპლემენტაციის მონიტორინგის კუთხით; მიუთითებს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ასოცირებული ქვეყნების მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება ასოცირების შეთანხმების/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების განხორციელებიდან მიღებული სარგებლის შესახებ ისევე როგორც მცდარი ინფორმაციისა თუ მითების გაფანტვა;

25. კვლავ აცხადებს, რომ საპარლამენტო ზედამხედველობის წარმატებით განხორციელებისათვის, საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი მუდმივად უნდა ფლობდეს ინფორმაციას აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოქმედი ასოცირების კომიტეტებისა და მათ ქვე-კომიტეტებში მიმდინარე საქმიანობის შესახებ;

26. ამ კონტექსტში მიუთითებს ევროპარლამენტის 2016 წლის 21 იანვრის რეზოლუციას, სადაც ხაზგასმულია, რომ საპარლამენტო კონტროლი წარმოადგენს ფუნდამენტურ პირობას ევროკავშირის პოლიტიკის დემოკრატიული მხარდაჭერისათვის და მოუწოდებს საქართველოს მთვარობას, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურს და ევროკომისიას, ხელი შეუწყონ ასოცირების შეთანხმების/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელების რეგულარულ, დეტალურ და დროულ მონიტორინგს;

27. ოფიციალურად ამტკიცებს ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის რეგლამენტს, როგორც ამას ასოცირების შეთანხმების 410-ე (3) მუხლი განსაზღვრავს, ითვალისწინებს რა რომ საქართველოს პარლამენტში და ასვე ევროპარლამენტში ამ დოკუმენტის მისაღებად ყველა შიდა პროცედურა დასრულდა.

მიღებულია 2016 წლის 26 აპრილს